



ადმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

2 აგვისტო, 2018
თბილისი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის პირველი სამუშაო ჯგუფის არჩევნების ქვეჯგუფის განცხადება საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩევნების თარიღის გამოცხადებამ კვლავ აუცილებელი გახადა, რომ პარლამენტმა იმსჯელოს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

საარჩევნო კამპანიის სრულფასოვნად და ორგანიზებულად ჩატარებისათვის, არჩევნებში ჩართული მხარეების (საარჩევნო სუბიექტები, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები, მედია, საარჩევნო ადმინისტრაცია) უკეთ მომზადებისთვის აუცილებელია არჩევნების კონკრეტული თარიღის გაცილებით ადრე გამოცხადება, მაგალითად 90 დღით ადრე, რაც საშუალებას მისცემს პოლიტიკურ პარტიებს და საინიციატივო ჯგუფებს უკეთ დაგეგმონ საარჩევნო კამპანიის მოსამზადებელი პერიოდი (ხელმოწერების შეგროვება, კანდიდატების რეგისტრაცია) და უშუალოდ საარჩევნო კამპანია. ფაქტია, რომ საქართველოში არსებული პრაქტიკა არჩევნების გამოცხადების ვადებთან დაკავშირებით არაპროგნოზირებადია, რაც ჩასატარებელი არჩევნების წინ სერიოზულ დამაბულობას იწვევს. მაგალითად 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის 27 ოქტომბრის არჩევნების თარიღი 2013 წლის 1 ივლისს გამოცხადდა, არჩევნებამდე 118 დღით ადრე. 2016 წლის საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის არჩევნების თარიღი 2016 წლის 3 ივნისს გამოცხადდა, არჩევნებამდე 126 დღით ადრე. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2017 წლის 22 აგვისტოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამოწურვამდე 1 დღით ადრე დაინიშნა.

სერიოზული დამაბულობის გარდა, არჩევნების თარიღის გაურკვეველობა განაპირობებს შემდგომში სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას, იქიდან გამომდინარე, რომ დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის სხვადასხვა დროს სიების რეგისტრაციისთვის განსხვავებული დრო განესაზღვრებათ. იმ შემთხვევაში კი, თუ არჩევნების თარიღი გამოცხადდება ზუსტად 60 დღით ადრე, მაშინ დამოუკიდებელ კანდიდატს ხელმოწერათ სიების წარდგენისთვის რჩება არარეალურად მცირე დრო, 10 დღე, ასევე პოლიტიკური პარტიების კანდიდატებთან შედარებით მათ რჩებათ მცირე დრო საარჩევნო აგიტაციისთვის, რაც უსამართლოა და ეწინააღმდეგება არჩევნებში პოლიტიკური

კონკურენციის და თანასწორობის პრინციპებს. ამავდროულად, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტის მიერ ოფიციალური თარიღის გამოცხადების დღემდე მედიით, განსაკუთრებით ტელევიზიით, მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, პარტიების მიერ დასახელებული კანდიდატების წინასაარჩევნო აგიტაცია, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვანია კონკრეტული კანდიდატებისთვის და პარტიებისთვის, რომელთაც ჰყავთ საკუთარი კანდიდატი დასახელებული, ვინაიდან ფორმალურად, არსებული კანონმდებლობით დადგენილი ვადები სერიოზული საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის საკმარისი არ არის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევთ საქართველოს კანონმდებლობით არჩევნების გამოცხადების თარიღად განისაზღვროს არჩევნებამდე არანაკლებ 90 დღე; შეიცვალოს და გაიზარდოს საარჩევნო სუბიექტებისთვის რეგისტრაციის ვადები, რომელიც ასევე გამოიწვევს საარჩევნო კამპანიის წარმოების ვადების ზრდასაც; ასევე მედია საშუალებებს მიეცეთ უფლება განათავსონ ფასიანი პოლიტიკური რეკლამა არჩევნების დღის გამოცხადებისთანავე.

ინიცირებული ცვლილებები მომავალში უზრუნველყოფს არჩევნებისა და წინასაარჩევნო კამპანიის თანაბარ და სამართლიან გარემოში ჩატარებას.

ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

1. ლიბერალური აკადემია თბილისი (LAT)
2. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. თავისუფალი არჩევანი
4. დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
5. სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
6. ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი"
7. ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
8. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
9. ადამიანის უფლებათა ცენტრი